

## კაოლინიტი: მინერალოგია, გენეზისი, გავრცელება და გამოყენება

თენგიზ შუბითიძე

ელ-ფოსტა: [tengiz.shubitidze913@ens.tsu.edu.ge](mailto:tengiz.shubitidze913@ens.tsu.edu.ge)

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
უნივერსიტეტის ქ. 13

კაოლინიტი  $Al_2Si_2O_5(OH)_4$ , კაოლინიტური თიხების ძირითადი ქანმაშენი მინერალია. ის მიეკუთვნება ფილოსილიკატებს /შრეებრივი სტრუქტურის სილიკატებსა და ალუმოსილიკატებს ორშრიანი პაკეტებით/. ბუნებაში გავრცელებულია მკვრივი, წვრილდისპერსიული, მასიური, ფხვნილისებრი, მიწისებრი აგრეგატებისა და იშვიათად ნადენი ფორმების სახით. კრისტალდება ტრიკლინურ სინგონიაში. განასხვავებენ პირველად და მეორადი წარმოშობის კაოლინიტებს. პირველი მათგანი ჩნდება ალუმოსილიკატების დაშლის ხარჯზე, მეორე - პირველადი კაოლინიტური ქანების გადარეცხვით, ქარის ან წყლის მიერ გადატანით და მისი შემდგომი დალექვით. კაოლინიტის საბადოები, საქართველოში, ცნობილია იმერეთში (ქუთაისის, ტყიბულის, ძირულის მასივის საბადოების ჯგუფი), გურიაში (ოზუგეთის რაიონის საბადოების ჯგუფი), ქვემო ქართლში (ბოლნისის საბადოების ჯგუფი) და სხვ.

კაოლინიტს, იყენებენ ფაიფურისა და კერამიკის წარმოებაში, სამშენებლო საქმეში, ქაღალდისა და რეზინის მრეწველობაში; საღებავების, ოლიფის, ლინოლეუმის, ცეცხლგამძლე აგურების დასამზადებლად და სხვ.